

# საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად

მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად და სარატიფიკაციოდ გენერალური ასამბლეის 1965 წლის 21 დეკემბრის 2106 (XX) რეზოლუციით.

ძალაში შევიდა: 1969 წლის 4 იანვარს მე-19 მუხლის შესაბამისად.

## ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები

**მხედველობაში იღებენ,** რომ გაერთიანებული ერების წესდება დაფუძნებულია თითოეული ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებზე და ყველა მონაწილე სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება გაეროსთან თანამშრომლობით განახორცილოს ერთობლივი და ცალკეული ქმედებები, რათა მიადწიონ გაერთიანებული ერების მიზანს, წაახალისონ და ხელი შეუწიონ ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა;

**მხედველობაში იღებენ,** რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აცხადებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორია ღირსებისა და უფლებების მხრივ და ყველა უნდა სარგებლობდეს აქ წარმოდგენილი ყველა უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი განსხვავების გარეშე, განსაკუთრებით, რასის, ფერის ან ეროვნული წარმოშობის მიხედვით;

**მხედველობაში იღებენ,** რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და სარგებლობს ყოველგვარი დისკრიმინაციისა და დისკრინიმაციის წაქეზებისაგან თანაბარი დაცვის უფლებით;

**მხედველობაში იღებენ,** რომ გაერთიანებულმა ერებმა დაგმო კოლონიალიზმი, მასთან დაკავშირებული სეგეგაციისა და დისკრინიმაციის ყოველგვარი პრაქტიკა, რა ფორმით და სადაც არ უნდა არსებობდეს იგი, და 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაციამ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის თავისუფლების მინიჭების შესახებ (გენერალური ასამბლეა 1514 (XV) რეზოლუცია) დაამტკიცდა და საზეიმოდ გამოაცხადა მათი სწრაფი და უპირობო დასასრულის აუცილებლობა;

**მხედველობაში იღებენ,** რომ გაერთიანებული ერების 1963 წლის 20 ნოემბრის დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად (გენერალური ასამბლეის 1964 წლის (XVI-II) რეზოლუცია) საზეიმოდ აცხადებს მთელს მსოფლიოში რასობრივი დისკრინიმაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების სწრაფი ლიკვიდაციის აუცილებლობასა და თითოეული ადამიანის ურთიერთგაგებისა და ღირსების პატივისცემის აუცილებლობას;

**დარწმუნებულნი არიან,** რომ უპირატესობის ნებისმიერი თეორია, დაფუძნებული რასობრივ დიფერენციაციაზე, მეცნიერულად მცდარი, მორალურად დასაგმობი, სოციალურად უსამართლო და საშიშია, და რომ რასობრივ დისკრიმინაციას აქვს არც თეორიული და არც პრაქტიკული გამართლება.

**კიდევ ერთხელ ადასტურებენ**, რომ ადამიანის დისკრიმინაცია რასის, ფერის ან ეთნიკური წარმოშობის ნიადაგზე ერებს შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობის წინააღმდეგაა და შეუძლია საფრთხე შეუქმნას მშვიდობას და უსაფრთხოებას ხალხთა შორის, აგრეთვე, ერთსა და იმავე სახელმწიფოში გვერდობედ მაცხოვრებელ პირთა ჰარმონიულ თანაცხოვრებას;

**დარწმუნებულნი არიან**, რომ რასობრივი ბარიერების არსებობა ეწინააღმდეგება ადამიანთა საზოგადოების იდეალებს;

**შეშფოშებულნი არიან** მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში რასობრივი დისკრიმინაციის აშკარა გამოვლინებებით და რასობრივ უპირატესობაზე ან სიძულვილზე დაფუძნებული სამთავრობო პოლიტიკით, როგორცაა აპარტეიდის სეგრეგაციისა და განცალკევების პოლიტიკა;

**გადაწყვიტეს** მიიღონ ყველა საჭირო ზომა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების სწრაფი აღმოფხვრისათვის და ხელი შეუშალონ და ებრძოლონ რასობრივ თეორიებსა და პრაქტიკას, რათა ხელი შეუწყონ რასებს შორის ურთიერთგაგებას და ააშენონ რასობრივი სეგრეგაციისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან თავისუფალი საერთაშორისო საზოგადოება;

**მხედველობაში იღებენ** შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1958 მიღებულ კონვენციას სამუშაოსა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ და გაეროს მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ 1960 წელს მიღებულ განათლების სფეროში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენციას;

**სურთ**, რომ განხორციელონ გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციაში ხორცშესხმული პრინციპები, რათა ამ მიზნით უზრუნველყონ პრაქტიკული ზომების მიღება.

## **შეთანხმდნენ შემდგომე:**

### **ნაწილი I**

#### **მუხლი I**

1. ამ კონვენციაში ტერმინი „რასობრივი დისკრიმინაცია“ უნდა ნიშნავდეს ნებისმიერ განსხვავებას, განსაკუთრებულობას, შეზღუდვას ან უპირატესობას, დაფუძნებულს რასაზე, ფერზე, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმოშობაზე, რომელიც მიზნად ისახავს გააუქმოს ან ხელი შეუშალოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობას ან განხორციელებას თანაბარ საფუძველზე, საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ან სხვა სფეროში.
2. ეს კონვენცია არ ვრცელდება განსხვავებებზე, განსაკუთრებებზე, შეზღუდვებზე ან უპირატესობებზე, რომლებსაც ადგენს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფო თავის მოქალაქეებსა და არა მოქალაქეებს შორის.
3. ამ კონვენციაში არაფერი უნდა იქნას გაგებული როგორც რაიმე ფორმით ზემოქმედება მონაწილე სახელმწიფოების მიერ ეროვნების, მოქალაქეობის ან ნატურალიზაციისათვის დადგენილ სამართლებრივ დებულებებზე, რადგან აღიარებულია, რომ ასეთი პირობები არ ახდენს ცალკეულ ეროვნებათა დისკრიმინაციას.

4. სპეციალური ზომები, რომლებიც მიღებულია ერთადერთი მიზნით აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნას რომელიმე რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის ან პირის, რომლებიც მოითხოვენ ასეთ დაცვას, თანაბარი პროგრესი, რათა ასეთი ჯგუფები ან პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ფლობისა და გამოყენების თანაბარი შესაძლებლობებით, არ უნდა ჩაითვალოს რასობრივ დისკრიმინაციად, თუმცა ასეთი ზომები როგორც შედეგი ხელს არ უნდა უწყობდეს ცალკეული რასობრივი ჯგუფებისათვის განსხვავებული უფლებების შენარჩუნებასა და გავრცობას იმ მიზნების მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც იქნენ შემოღებული.

## მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები გმობენ რასობრივ დისკრიმინაციას და კისრულობენ ვალდებულებას ყველა შესაბამისი საშუალებებით და დაყოვნების გარეშე, შეიმუშაონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პოლიტიკა და ხელი შეუწყონ რასებს შორის ურთიერთგაგებას. ამ მიზნით:
  - a. თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას არ მიიღოს მონაწილეობა რასობრივი დისკრიმინაციის არც ერთ ქმედებასა და პრაქტიკაში პირების, პირთა ჯგუფის ან დაწესებულებების წინააღმდეგ და უზრუნველყოს, რომ ყველა ცენტრალურმა და ადგილობრივმა სახელმწიფო ორგანიზაციამ და დაწესებულებამ იმოქმედოს ამ მოვალეობის შესაბამისად,
  - b. თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას არ დააფინანსოს, არ დაიცვას ან არ დაეხმაროს ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ რასობრივი დისკრიმინაციის განხორციელებას,
  - c. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები, რათა გადასინჯოს სამთავრობო ცენტრალური და ადგილობრივი პოლიტიკა და შეასწოროს, გააუქმოს ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს ნებისმიერი კანონი ან წესი, რომელსაც შეუძლია შექმნას და განამტკიცოს რასობრივი დისკრიმინაცია, სადაც ის არსებობს,
  - d. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, არსებული გარემოებების შესაბამისად, ყველა არსებული საშუალებით, მათ შორის საკანონმდებლო, უნდა აკრძალოს და აღკვეთოს, ნებისმიერი პირის, ჯგუფის ან ორგანიზაციის მიერ განხორციელებული რასობრივი დისკრიმინაცია,
  - e. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, საჭიროებისამებრ, ვალდებულება უნდა იკისროს, ხელი შეუწყოს იმ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს და სხვა საშუალებებს, რომლებიც მიზნად ისახავს რასობრივი ბარიერების მოშლას და ხელს უშლის ყველაფერს, რაც აძლიერებს რასობრივ დაყოფას.
2. მონაწილე სახელმწიფოებმა, როდესაც გარემოებები ამის საშუალებას იძლევა, უნდა მიიღონ სპეციალური და კონკრეტული ზომები, რათა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროში უზრუნველყონ რასობრივი ჯგუფების ან მათ მიკუთვნებულ პირთა თანაბარი განვითარება და დაცვა იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სრული და თანაბარი სარგებლობა. ასეთმა ზომებმა არავითარ შემთხვევაში შედეგად არ უნდა მოიტანოს სხვადასხვა რასობრივი ჯგუფებისათვის არათანაბარი ან განცალკევებული უფლებების შენარჩუნება იმ შედეგის დადგომის შემდეგ, რომლის მისაღწევადაც ისინი იყო შემოღებული.

### მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები განსაკუთრებით გამოხედავენ რასობრივ სეგრეგაციასა და აპარტიდს და ვალდებულებას კისრულობენ, რომ მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე აღმოფხვრან, აკრძალონ და საფუძვლიანად მოსპონ ყველა ამ სახის პრაქტიკა.

### მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები გამოხედავენ ყოველგვარ პროპაგანდასა და ყველა ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებულია ერთი რასის, ერთი ფერის ან ეთნიკური წარმოშობის პირთა ჯგუფის უპირატესობის იდეებსა და თეორიაზე ან, რომელიც ცდილობს გაამართლოს ან ხელი შეუწყოს რასობრივ სიძულვილსა და დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას და ვალდებულებას კისრულობენ მიიღონ სწრაფი და პოზიტიური ზომები, რათა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ხორცშესხმული პრინციპებისა და ამ კონვენციის მე-5 მუხლში გამოსატული უფლებების საჭირო მოთხოვნით მოისპოს დისკრიმინაციის მსგავსი ქმედების წაქეზება, სხვა პრინციპებს შორის ინტერალია:

- a. კანონით დასჯად ქმედებად უნდა გამოცხადდეს რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილზე დაფუძნებული იდეების ყოველგვარი გავრცელება, რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი წაქეზება ისევე, როგორც ძალადობის ყველა აქტი ან ასეთი აქტების წაქეზება ნებისმიერი რასის ან სხვა ფერის ან ეთნიკური წარმოშობის პირთა ჯგუფის წინააღმდეგ და ასევე, რასისტული მოქმედებების ნებისმიერი დახმარების, მათ შორის ფინანსური დახმარების პირობები;
- b. უკანონოდ უნდა გამოცხადდეს და აიკრძალოს ორგანიზაციებისა და ასევე, ყველა სხვა ორგანიზებული პროპაგანდისტული მოღვაწეობა, რომელიც ხელს უწყობს და იწვევს რასობრივ დისკრიმინაციას, ასეთ ორგანიზაციებსა ან საქმიანობაში მონაწილეობა უნდა გამოცხადდეს კანონით დასჯად ქმედებად;
- c. დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს ეროვნული თუ ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის ხელის შეწყობა ან გამოწვევა.

### მუხლი 5

ძირითადი მოვალეობების შესაბამისად, რომელიც მოცემულია ამ კონვენციის მეორე მუხლში, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას აკრძალონ და გააუქმონ რასობრივი დისკრიმინაცია გამოვლენილი ნებისმიერი ფორმით და უზრუნველყონ ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, განურჩევლად რასისა, ფერისა, ან ეროვნების ან ეთნიკური წარმოშობისა, კერძოდ:

- a. სასამართლოსა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების წინაშე თანასწორი მოპყრობის უფლება;
- b. პირის უფლება უსაფრთხოებასა და სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის ან ფიზიკური დაზიანების წინააღმდეგ დაცვაზე, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი გამოწვეულია სახელმწიფო მოხელეების თუ სხვა რომელიმე ინდივიდუალური ჯგუფის ან ინსტიტუტის ქმედებით;
- c. პოლიტიკური უფლებები, კერძოდ მოაწილეობა მიიღოს არჩევნებში, აირჩიოს და არჩეულ იქნას საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ისევე, როგორც საზოგადოებრივ

საქმეებში ნებისმიერ დონეზე და სარგებლობდეს ნებისმიერი საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობით;

d. სხვა სამოაღაქო უფლებები, განსაკუთრებით:

1. უფლება თავისუფლად გადაადგილდეს და იცხოვროს სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში;
2. უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა მათ შორის საკუთარიც და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში;
3. ეროვნების უფლება;
4. ქორწინების და მეუღლის არჩევის უფლება;
5. ქონების ინდივიდუალური და კოლექტიური ფლობის უფლება;
6. მემკვიდრეობის უფლება;
7. ფიქრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
8. აზრისა და გამოხატვის თავისუფლება;
9. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება.

e. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, კერძოდ:

1. მუშაობის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიან და ხელსაყრელ პირობებში მუშაობის უფლება, უმუშევრობის წინააღმდეგ დაცვა, შესაბამისი ანაზღაურების, სამართლიანი და ხელსაყრელი კომპენსაციის უფლება;
  2. უფლება შექმნას და შეუერთდეს პროფესიულ კავშირებს;
  3. საცხოვრებლის უფლება;
  4. ჯანდაცვის, სამედიცინო მომსახურების, სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური მომსახურების უფლება;
  5. განათლებისა და წვრთნის უფლება;
  6. კულტურულ ღონისძიებებში თანაბარი მონაწილეობის უფლება.
- f. საზოგადოებრივი საქმიანობისათვის გამიზნული ადგილების ან მომსახურების, როგორცაა ტრანსპორტი, სასტუმრო, რესტორანი, კაფე, თეატრი და პარკი ხელმისაწვდომობა.

## მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოებმა, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში კომპეტენტური ეროვნული სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით, ყველასთვის უნდა უზრუნველყონ ეფექტური დაცვა რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტის წინააღმდეგ, რომელიც ამ კონვენციის საწინააღმდეგოდ არღვევს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს ისევე, როგორც უზრუნველყონ ყველას უფლება - დისკრიმინაციის შედეგად გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად, სასამართლოსაგან მიიღოს სამართლიანი და თანასწორი კომპენსაცია და დაკმაყოფილება.

## მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოებში, კისრულობენ ვალდებულებას მიიღონ სწრაფი და ეფექტური ზომები, განსაკუთრებით სწავლების, განათლების, კულტურისა და ინფორმაციის სფეროში, რათა ებრძოლონ ცრუ რწმენებს, რომლებიც მართავს რასობრივ დისკრიმინაციას, და ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებასა და მეგობრობას ერებსა და რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფებს შორის ისევე, როგორც გაერთიანებული ერების წესდებით, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის გაერთიანებული ერების დეკლარაციითა და ამ კონვენციით განმტკიცებული მიზნების და პრინციპების გაგრძელებას.

## ნაწილი II

### მუხლი 8

1. უნდა დარსდეს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“), რომელიც შედგება მონაწილე სახელმწიფოების მიერ მოქალაქეებს შორის მიუკერძოებლად არჩეული 18 მარალი მორალის მქონე ექსპერტისაგან, რომლებიც მსახურობენ თავიანთი პიროვნული შესაძლებლობების ფარგლებში და წარმოადგენენ ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმებსა და ძირითად სამართლებრივ სისიტემებს, სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის შესაბამისად.
2. კომიტეტის წევრები არჩეულ იქნან ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილი სიიდან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია თავის მოქალაქეთაგან წამოაყენოს ერთი პირი.
3. პირველი არჩევნები უნდა ჩატარდეს ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა. არჩევნებამდე არა უგვიანეს სამი თვისა გაერთიანებული ერების განერალურმა მდივანმა შეტყობინება უნდა გაუგზავნოს მონაწილე სახელმწიფოებს ორი თვის განმავლობაში საკუთარი კანდიდატების წარდგენის შესახებ. გენერალურმა მდივანმა უნდა მოამზადოს წარმოდგენილ კანდიდატთა სია ანბანური წესით, მიუთითოს მასში წარმოდგენილი მონაწილე სახელმწიფო და წარუდგინოს მონაწილე სახელმწიფოებს.
4. კომიტეტის წევრების არჩევნები უნდა ჩატარდეს მონაწილე სახელმწიფოების შეკრებაზე, რომელიც მოიწვევა გენერალური მდივნის მიერ გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. ამ კრებაზე, სადაც ქვორუმს შეადგენს მონაწილე სახელმწიფოების 2/3, კომიტეტში არჩეული პირები წარმოადგენენ იმ კანდიდატებს, რომლებმაც მიიღეს ხმების უდიდესი რაოდენობა და დამსწრე და ხმის მიმცემი მონაწილე სახელმწიფოების ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.
5. a. კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. თუმცა, პირველ არჩევნებში არჩეული 9 წერი აირჩევა ორი წლის ვადით. ასეთი ცხრა წევრი პირველი არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ შეირჩევა წილისყრით და მათი სახელები დასახელებულ უნდა იქნეს კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.  
b. შემთხვევითი ვაკანსიების შესავსებად მონაწილე სახელმწიფომ, რომლის ექსპერტმაც წევრობა შეწყვიტა, თავის მოქალაქეთაგან უნდა დანიშნოს სხვა სპეციალისტი, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნას კომიტეტის მიერ.
6. მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან კომიტეტის წევრის ხარჯებზე, მათ მიერ საკომიტეტო მოვალეობების შესრულების დროს.

### მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება საკანონმდებლო, იურიდიულ, ადმინისტრაციულ ან სხვა მათ მიერ ამ კონვენციის დებულებების განხორციელებისათვის მიღებულ ზომებზე:
  - a. კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ მიერთებული სახელმწიფოსთვის; და
  - b. ამის შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ და კომიტეტის მოთხოვნისამებრ კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვოს შემდგომი ინფორმაციები.
2. კომიტეტმა, გენერალური მდივნის მეშვეობით, თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად უნდა მოახსენოს გაერთიანებული ერების გენერალურ

ასამბლეას და მონაწილე სახელმწიფოებისაგან მიღებულ მოხსენებასა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეუძლია წარადგინოს წინადადებები და ზოგადი რეკომენდაციები. ასეთი წინადადებები და რეკომენდაციები უნდა მოხსენდეს გენერალურ ასამბლეას მონაწილე სახელმწიფოს შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი არსებობს.

### **მუხლი 10**

1. კომიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარი პრიცედურული წესები.
2. კომიტეტმა უნდა აირჩიოს საკუთარი თანამდებობის პირები 2 წლის ვადით.
3. კომიტეტის სამდივნო უზრუნველყოფილი უნდა იყოს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ.
4. კომიტეტის კრებები ჩვეულებრივ უნდა გაიმართოს გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში.

### **მუხლი 11**

1. თუ მონაწილე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციის პირობებს, მას შეუძლია საკითხი გადასცეს კომიტეტს. კომიტეტმა აღნიშნულის შესახებ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს. სამი თვის განმავლობაში მიმდებმა სახელმწიფომ კომიტეტში განსახილველად უნდა წარადგინოს წერილობითი განმარტება ან განცხადება, რომელიც ნათელს მოჰფენს საკითხს და იმ საშუალებებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამ სახელმწიფოს მიერ.
2. თუ საკითხი არ მოწესრიგდა ორივე მხარის დაკმაყოფილებით, ორმხრივი მოლაპარაკებით ან მათთვის დაშვებული სხვა პროცედურით, მიმდები სახელმწიფოს მიერ საწყისი შეტყობინების მიღებიდან შემდეგ 6 თვის ვადაში სახელმწიფოს უფლება აქვს ხელახლა წარუდგინოს საკითხი კომიტეტს, მისი და დაკავშირებული მონაწილე სახელმწიფოს შეტყობინებით.
3. კომიტეტმა უნდა განიხილოს მისთვის გადაცემული საკითხი, ამ მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მას შემდეგ რაც გამოაშკარავდება რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, გამოყენებულ იქნა ყველა არსებული შიდასახელმწიფოებრივი საშუალება. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი საშუალებების გამოყენება უმიზეზოდ გაჭიანურდა.
4. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტს შეუძლია შესაბამისი ინფორმაცია მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვოს სხვა შესაბამისი ინფორმაცია.
5. როდესაც ამ მუხლის შესაბამისად წარმოშობილი რომელიმე საკითხი მიღებულია კომიტეტის მიერ, შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლება საკითხის განხილვის მიმდინარეობისას, კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ხმის უფლების გარეშე მიავლინონ წარმომადგენელი.

## მუხლი 12

- a. მას შემდეგ, რაც კომიტეტმა მიიღო და შეკრიბა მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს დროებითი შემრიგებლური კომისია (შემდგომში „კომისია“), რომელიც შედგება 5 წევრისაგან, რომლებიც შეიძლება იყვნენ ან არ იყვნენ კომიტეტის წევრები. კომისიის წევრები დანიშნული უნდა იყვნენ ერთხმად დავის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ და მათი სამსახური ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი სახელმწიფოებისათვის ამ კონვენციის პატივისცემის საფუძველზე, მეგობრული გადაწყვეტილების მისაღწევად.

b. თუ დავის მონაწილე სახელმწიფოები სამი თვის მანძილზე ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას კომისიის სრული ან ნაწილობრივი შემადგენლობის შესახებ, კომისიის წევრები რომელთა არჩევაზეც დავის მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან, არჩეულ უნდა იქნენ კომიტეტის წევრთაგან ფარული კენჭისყრით, კომიტეტის წევრთა 2/3 უმრავლესობით.
- კომისიის წევრებმა უნდა იმსახურონ პირადი შესაძლებლობების ფარგლებში. ისინი არ უნდა იყვნენ დავის მონაწილე სახელმწიფოების ან ამ კონვენციის არა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები.
- კომისიამ უნდა აირჩიოს თავმჯდომარე და დაადგინოს თავისი პროცედურული წესები.
- კომისიის კრებები ჩვეულებრივ უნდა ჩატარდეს გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში ან ნებისმიერ სხვა კომისიის მიერ განსაზღვრულ მოსახერხებელ ადგილას.
- ამ კონვენციის მე-10 მუხლის III პუნქტის შესაბამისად არსებული სამდივნო უნდა მოემსახუროს კომისიასაც, როდესაც მონაწილე სახელმწიფოებს შორის დავა კომისიას მიიყვანს მოქმედებაში.
- დავის მონაწილე სახელმწიფოებმა თანაბრად უნდა გაიყონ კომისიის წევრთა ხარჯები, გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ შეთავაზებული შეფასების შესაბამისად.
- ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დავის მონაწილე სახელმწიფოების მიერ კომისიის წევრების ხარჯების ანაზღაურებამდე გენერალური მდივანი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დაფაროს ხარჯები.
- კომიტეტის მიერ მიღებული და შემოწმებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომისიისათვის და კომისიას შეუძლია დაკავშირებულ სახელმწიფოებს მოსთხოვოს ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

## მუხლი 13

- კომისიის მიერ საკითხის მთლიანად განხილვის შედეგად, მან უნდა მოამზადოს და კომიტეტის თავმჯდომარეს განსახილველად წარუდგინოს მოხსენება, რომელიც შეიცავს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე ძიების შედეგებისა და ისეთ რეკომენდაციებს, რომლებიც დავის მეგობრულად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.
- კომიტეტის თავმჯდომარემ კომისიის მოხსენება უნდა გადასცეს დავის თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოებმა სამი თვის ვადაში კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა შეატყობინონ ეთანხმებიან თუ არა რეკომენდაციებს, რომლებსაც მოიცავს კომისიის მოხსენება.
- ამ მუხლის 2 პუნქტით უზრუნველყოფილი პერიოდის შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარემ კომისიის მოხსენება და შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოების განცხადებები უნდა გადასცეს ამ კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.



## მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოაცხადოს, რომ ის აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მისი იურისდიქციაში ფარგლებში მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები იმ პირების ან პირთა ჯგუფებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არიან მონაწილე სახელმწიფოს ძალადობის ან ამ კონვენციაში წარმოდგენილი უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. არც ერთი შეტყობინება არ უნდა იქნას მიღებული კომიტეტის მიერ, თუ იგი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც ასეთი განცხადება არ გააკეთა.
2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც ამ მუხლის 1 პუნქტის თანახმად აკეთებს განცხადებას, შეუძლია დაარსოს ან თავისი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მიუთითოს ორგანო, რომელიც კომპეტენტური იქნება მისი იურისდიქციის ფარგლებში მიიღოს და განიხილოს პეტიციები პირების ან პირთა ჯგუფებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არის ამ კონვენციაში წარმოდგენილ უფლებათა დარღვევის ან ძალადობის მსხვერპლი და რომლებმაც ამოწურეს სხვა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები.
3. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება და ამ მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად დაარსებული ან მითითებული ნებისმიერი ორგანოს სახელი შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიერ დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან, რომელიც, თავის მხრივ, ასლებს გადაუგზავნის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადება შეიძლება გამოთხოვილ იქნას ნებისმიერ დროს გენერალურ მდივნისათვის შეტყობინებით, მაგრამ ასეთმა გაუქმებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს კომიტეტის წინაშე განსახილველად დაყენებულ შეტყობინებებზე.
4. პეტიციების რეესტრი ინახება ამ მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად დაარსებული ან მითითებული ორგანოს მიერ, ხოლო რეესტრის დამოწმებული ასლები ყოველწლიურად ეგზავნება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, იმ პირობით, რომ არ მოხდება მათი შინაარსის საჯაროდ გაცხადება.
5. ამ მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად დაარსებული ან მითითებული ორგანოსაგან დაკმაყოფილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მოსარჩელეს უფლება აქვს ექვსი თვის განმავლობაში მიმართოს კომიტეტს.
6. a. კომიტეტმა მისთვის მიწოდებული ნებისმიერი შეტყობინება კონფედენციალურად უნდა გადასცეს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ბრალად ედება ამ კონვენციის დებულებების დარღვევა, თუმცა, არ უნდა მოხდეს საქმესთან დაკავშირებული პირის ან პირთა ჯგუფის ვინაობის გამხელა მათი თანხმობის გარეშე. კომიტეტმა არ უნდა მიიღოს ანონიმური შეტყობინებები.  
b. სამი თვის განმავლობაში, მიმდებმა სახელმწიფომ კომიტეტს განსახილველად უნდა წარუდგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება ან განცხადება, რომელიც ნათელს მოჰფენს საკითხსა და საშუალებას, თუ ასეთი არსებობს, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ამ სახელმწიფოს მიერ.
7. a. კომიტეტმა შეტყობინებები უნდა განიხილოს ყველა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია შესაბამისი სახელმწიფოსა და მოსარჩელის მიერ. კომიტეტმა არ უნდა განიხილოს მოსარჩელის რაიმე შეტყობინება, სანამ არ დადასტურდება, რომ ამოწურა ყველა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალება. თუმცა, ეს წესი არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც ასეთი საშუალებების გამოყენება უმიზეზოდ ჭიანჭურდება.

- b. კომიტეტმა თავისი წინადადებები და რეკომენდაციები უნდა გაუგზავნოს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებსა და მოსარჩელეს.
8. კომიტეტმა თავის ყოველწლიურ მოხსენებაში უნდა ჩართოს ასეთი შეტყობინებების შინაარსი და, საჭიროებისამებრ, მონაწილე სახელმწიფოების ახსნა-განმარტებები და განცხადებები, ასევე, საკუთარი წინადადებებისა და რეკომენდაციების მოკლე ანოტაცია.
  9. კომიტეტი კომპეტენტური უნდა იყოს ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად, განსაკუთრებით, როდესაც ამ კონვენციის მონაწილე 10 სახელმწიფო ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

## **მუხლი 15**

1. გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაციით, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის თავისუფლების შესახებ (1514 (XV) რეზოლუციით) განმტკიცებული მიზნების მიღწევისას, ამ კონვენციის პირობებმა არაფრით უნდა შეზღუდოს ხალხისთვის მიცემული უფლება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ან გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებებისათვის პეტიციით მიმართვის თაობაზე.
2. a. ამ კონვენციის VIII მუხლის 1 პუნქტით დაარსებულმა კომიტეტმა უნდა მიიღოს პეტიციის ასლები და საკუთარი შეხედულებები და რეკომენდაციები განხილვისათვის დააყენოს გაერთიანებული ერების იმ ორგანოებთან, რომლებიც იხილავენ ამ კონვენციის პრინციპებსა და მიზნებთან პირდაპირ დაკავშირებულ პეტიციებს იმ სამეუვეო ან არათვითმმართველი ტერიტორიებისა და სხვა ტერიტორიების მცხოვრებთაგან, რომლებზეც ვრცელდება გენერალური ასამბლეის 1514 (XV) რეზოლუცია.  
b. კომიტეტმა გაერთიანებული ერების კომპეტენტური ორგანოებისაგან უნდა მიიღოს მოხსენების ასლები და გამოხატოს საკუთარი შეხედულებები და გააკეთოს რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ამ კონვენციის პრინციპებსა და მიზნებთან პირდაპირ დაკავშირებულ საკანონმდებლო, იურიდიულ, ადმინისტრაციულ ან სხვა ზომებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ გამოიყენება ამ პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მოხსენებულ ტერიტორიებზე.
3. კომიტეტმა გენერალური ასამბლეისათვის მოხსენებაში უნდა შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანოებიდან მიღებული პეტიციებისა და მოხსენებების რეზიუმეები და ამ პეტიციებსა და მოხსენებებთან დაკავშირებული საკუთარი შეხედულებებისა და რეკომენდაციების რეზიუმეები.
4. კომიტეტმა გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისაგან უნდა მოითხოვოს ყველა ინფორმაცია, რომელიც შეეხება ამ კონვენციის მიზნებს და ხელმისაწვდომია ამ მუხლის 2 პუნქტში მოხსენიებულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

## **მუხლი 16**

ამ კონვენციის დებულებები, რომლებიც დაეების რეგულირებასთან ან საჩივრებთან არის დაკავშირებული, ყოველგვარი დარღვევის გარეშე უნდა გავრცელდეს დისკრიმინაციის სფეროში დაეების ან საჩივრების რეგულირებაზე და უნდა აისახოს მომხსენებლის სადამფუძნებლო დოკუმენტებში ან გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზირებული დაწესებულებების მიერ მიღებულ ხელშეკრულებებში და ხელი არ უნდა შეუშალოს მონაწილე სახელმწიფოებს დახმარებისათვის მიმართონ სხვა პროცედურებს, რომლებიც მოცემულია დაეების დარღვევების სხვა ზოგად ან სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებაში.

## **ნაწილი III**

### **მუხლი 17**

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების, მისი სპეციალიზირებული დაწესებულებების, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს, ასევე სხვა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც მიწვეულ იქნა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ, რათა ამ კონვენციის მონაწილე გამხდარიყო.
2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. რატიფიკაციის დოკუმენტები დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

### **მუხლი 18**

1. ამ კონვენციის XVII მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, კონვენცია ღია უნდა იყოს მისაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.
2. მიერთება ძალაში შედის შესაბამისი დოკუმენტების გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირებით.

### **მუხლი 19**

1. ეს კონვენცია ძალაშია გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან რატიფიკაციის ან მიერთების 27-ე სიგელების დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ახდენს ამ კონვენციის რატიფიკაციას ან უერთდება მას 27-ე სარატიფიკაციო ან შეერთების სიგელის დეპონირების შემდეგ, კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს სარატიფიკაციო დოკუმენტების დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

### **მუხლი 20**

1. გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა უნდა მიიღოს და გაავრცელოს ამ კონვენციის შესაძლო ან უკვე მონაწილე ყველა სახელმწიფოს შორის სხვა სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის ან მიერთების დროს გაკეთებული დათქმების შესახებ. ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც დათქმის წინააღმდეგია, ასეთი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის განმავლობაში უნდა მოახსენოს გენერალურ მდივანს, რომ მას არ ეთანხმება.
2. არ დაიშვება ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან შეუსაბამო დათქმების გაკეთება ისევე, როგორც იმ დათქმების, რომელთა ძალაში შესვლაც ხელს უშლის ამ კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე ორგანოს მოქმედებას. დათქმა შეიძლება მიჩნეულ იქნას შეუთავსებლად ან აკრძალულად, თუ ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების 2/3 მისი წინააღმდეგია.

3. დათქმები შეიძლება გაუქმებულ იქნას ნებისმიერ დროს გენერალურ მდივნისადმი შეტყობინებით. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

### **მუხლი 21**

მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ კონვენციას გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისადმი წერილობითი შეტყობინებით. დენონსაცია ძალაშია გენერალური მდივნისადმი შეტყობინებიდან ერთი წლის ვადაში.

### **მუხლი 22**

ამ კონვენციის მონაწილე 2 ან მეტ სახელმწიფოს შორის კონვენციის ინტერპრეტაციის გამო არსებული ნებისმიერი დავა, რომელიც არ მოგვარდა ორმხრივი მოლაპარაკებით ან ამ კონვენციით გათვალისწინებული სხვა პროცედურით, დავის ნებისმიერი მონაწილის თხოვნით, გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დავის მონაწილეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.

### **მუხლი 23**

1. ამ კონვენციის გადასინჯვის მოთხოვნა შეიძლება გაკეთებულ იქნას ნებისმიერ დროს ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისადმი წერილობითი შეტყობინებით.
2. ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

### **მუხლი 24**

გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა ამ კონვენციის მე-17-ე მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფოებს უნდა შეატყობინოს:

- a. მე-17-ე და მე-18-ე მუხლების შესაბამისად ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და მიერთებების შესახებ;
- b. მე-19-ე მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- c. მე-14-ე, მე-20-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად მიღებული შეტყობინებებისა და განცხადებების შესახებ;
- d. 21-ე მუხლის შესაბამისად დენონსაციის შესახებ.

### **მუხლი 25**

1. ეს კონვენცია, რომლის ესპანური, ინგლისური, ჩინური, ფრანგული და რუსული ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების არქივში.
2. გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა ამ კონვენციის ავთენტური ასლები უნდა გადასცეს ყველა სახელმწიფოს, რომელიც ამ კონვენციის მე-17-ე მუხლის 1 პუნქტში მომხსენებელ სახელმწიფოთა რომელიმე კატეგორიას მიეკუთვნება.